585
1970 2.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 2 (349)

1970 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 2 (349) თებერვალი 1970 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სიღნაღის რაიონის მალაროს № 177 და ზნაურის რაიონის ავნევის № 398 საარჩევნო ოლქებში გასული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევის დღის შესახებ.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიღნაღის რაიონის მალაროს № 177 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. გ. გომელაურის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

17. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1969 წლის შედეგების შესახებ.

### განყოფილება მეორე

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ზ. ბესტაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

1/1363

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ტ. ნატროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. თ. ოთირბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ნ. ქემოკლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ბელქანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ბერძენიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. ბორჩხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. ლურსმანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. შევარდნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. ხახუტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**14** **სიღნაღის რაიონის მაღაროს № 177 და ზნაურის რაიონის ავნევის № 398 საარჩევნო ოლქებში გასული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევის დღის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 99-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატებისა, სიღნაღის რაიონის მაღაროს № 177 და ზნაურის რაიონის ავნევის № 398 საარჩევნო ოლქებში კვირას, 1970 წლის 15 მარტს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 4 თებერვალი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**15** **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიღნაღის რაიონის მაღაროს № 177 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სიღნაღის რაიონის მაღაროს № 177 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგ წარმომადგენელთა შემადგენლობით:

**საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე**

ილია მიხეილის ძე **სიმონიშვილი** — კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე**

გიორგი სტეფანეს ძე **მირაშვილი** — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სათოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი**

ეთერი ივანეს ასული **თოარაშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის ტერიტორიული პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**სათოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ანდრია ივანეს ძე **ვორობიოვი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ანა ივანეს ასული **ლობაჩოვა** — სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

გიორგი აბრამის ძე **ხუნაშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

მარიამ ქრისტეფორეს ასული **ნანდოშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ციური თადოს ასული **ლათიბაშვილი** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან;

სერგო ალექსის ძე **ბუწაშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 9 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 16 ამხ. ნ. გ. გომელაურის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ გიორგის ძე **გომელაური** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 13 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 17 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1969 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი დადგენილებებით, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები უფრო კონკრეტულად სწავლობენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა აქტუალურ საკითხებს, რომლებიც განსახილველად შეაქვთ სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე და ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გაუმჯობესდა სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობა, გაიზარდა მათი როლი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

საბჭოები თავიანთ მუშაობაში ფართოდ იყენებენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად ტარდება აღმასკომების თავმჯდომარეთა და მდივნების თათბირ-სემინარები.

1969 წელს პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადამზადების მუდმივმოქმედი ერთთვიანი კურსები გაიარა აღმასკომის თავმჯდომარეთა 44,9 პროცენტმა, ხოლო მდივნების — 22,3 პროცენტმა.

არსებითად გაუმჯობესდა სესიების მომზადებისა და ჩატარების საქმე. საკითხების მომზადება-განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. ასე მაგალითად, გასულ წელს ადგილობრივი საბჭოების 26.765 დეპუტატმა ანუ 54,9 პროცენტმა მონაწილეობა მიიღო სესიებზე საკითხების განხილვაში. პრაქტიკაში დამკვიდრდა სესიებზე ინფორმაციების მოსმენა წინა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობა დეპუტატებთან. პერიოდულად ეწყობა „დეპუტატის დღე", აღმასკომები ასევე საჭირო დახმარებას უწევენ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში, ამომრჩევლებთან შეხვედრის მოწყობაში, დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების საქმეში.

1969 წელს ადგილობრივი საბჭოს 48.644 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 46.020 დეპუტატმა ანუ 94,6 პროცენტმა.

დეპუტატების მიერ ანგარიშების ჩაბარების საქმე კარგადაა დაყენებული ქ. გორში, ადიგენის, ასპინძის, გორის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ლენტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის, მაიაკოვსკის და ზოგიერთ სხვა რაიონში, სადაც ადგილობრივი საბჭოს ყველა დეპუტატმა ანგარიში ჩააბარა თავის ამომრჩევლებს.

ადგილობრივი საბჭოების ბევრი აღმასკომი საჭირო დახმარებას უწევს მუდმივ კომისიებს; მათთვის ეწყობა სპეციალური თათბირები, სემინარები, შეხვედრები მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამის შედეგად მუდმივი კომისიები უფრო ღრმად სწვდებიან ეკონომიკის, კულტურის და მშრომელთა საყოფაცხოვრებო საკითხებს, ინიციატივას იჩენენ სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველ საკითხთა მომზადებაში, გამოდიან მოხსენებებით და თანამოხსენებებით და პერიოდულად აბარებენ ანგარიშს შესაბამის საბჭოებს.

1969 წელს ადგილობრივი საბჭოს 6.651 მუდმივი კომისიიდან სესიებზე მოხსენებით და თანამოხსენებით გამოვიდა 4.228 კომისია, მათ სესიის განსახილველად მოამზადეს 5.704 საკითხი, ხოლო აღმასკომის სხდომისათვის — 17.337 საკითხი. ადგილობრივი საბჭოების 2.546 მუდმივმა კომისიამ ანუ 38.2 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა შესაბამისი საბჭოების სესიებს.

ყურადღებას იმსახურებს მშრომელთა ფართო მასებთან საბჭოების კავშირის განმტკიცების ისეთი ფორმა, როგორიცაა აღმასკომების, განყოფილებების, სამმართველოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშგება სესიებზე და მოსახლეობის წინაშე.

1969 წელს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომთა 98,5 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა საბჭოების სესიებს, ხოლო 78,9 პროცენტმა — მოსახლეობას.

ამასთან ერთად, ზოგიერთი საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXIII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების შემდგომი დადგენილებებიდან.

რიგი საბჭოს აღმასკომი ღრმად არ სწავლობს სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, გვერდს უვლის სოციალისტური კანონიერების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ფაქტებს, საჭირო ინიციატივას და მზრუნველობას არ იჩენს სოფლების კეთილმოწყობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და იმ წარმოება-დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის. რომლებიც მოწოდებული არიან მოემსახურონ მოსახლეობას.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი ვერ უზრუნველყოფს კონსტიტუციით დადგენილ ვადებში სესიების მოწვევას, სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში დეპუტატების. მუდმივი კომისიების და სპეციალისტების აქტიურ მონაწილეობას.

გასულ წელს რესპუბლიკის 1.098 აღმასკომიდან სესიების ჩატარების ვადები დაარღვია 19 აღმასკომმა (გარდაბნის რაიონული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 2 სადაბო და 8 სასოფლო, მესტიის რაიონის 1 სადაბო და 2 სასოფლო, დუშეთის რაიონის 3 სასოფლო საბჭოს აღმასკომმა).

სესიებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია თბილისის საქალაქო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის საქალაქო და ცხინვალის რაიონული, ლენინგორის რაიონის სადაბო და 4 სასოფლო საბჭოების აღმასკომებს.

მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეს საჭირო ყურადღებას არ უთმობენ ზუგდიდის საქალაქო, გარდაბნის, ახმეტის, ბოგდანოვკის, დუშეთის, მარნეულის, ონის, ჩხოროწყუს, ცაგერისა და ცხაკაიას რაიონული საბჭოების აღმასკომები.

იმის გამო, რომ ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი ყურადღებით არ ეკიდება დეპუტატებთან მუშაობის საკითხებს და საჭირო დახმარებას არ უწევს მათ, დეპუტატების გარკვეული ნაწილი ამომრჩევლებს დროულად ვერ აბარებს ანგარიშს. საანგარიშო პერიოდში 48.644 დეპუტატიდან ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 2.624 დეპუტატს ანუ 5,3 პროცენტს. მაგალითად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ანგარიში არ ჩააბარა 344 დეპუტატმა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 473-მა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 142-მა, ახალქალაქის რაიონში — 224-მა, ჩოხატაურის რაიონში — 160-მა და მარნეულის რაიონში — 104 დეპუტატმა.

რიგ რაიონში დარღვეულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა საბჭოების შემადგენლობიდან გასულ დეპუტატთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევის შესახებ. გასული დეპუტატის ნაცვლად არჩევნები არ ჩატარებულა 106 ოლქში (აფხაზეთის ასსრ-ში — 6 ოლქში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 5, მარნეულის რაიონში — 8 და სხვ.).

რაიონული საბჭოების აღმასკომები ყოველთვის ყურადღებით არ ეკიდებიან სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელთა შერჩევის საკითხს, რის გამოც ადგილი აქვს აღმასკომების თავმჯდომარეთა, მოადგილეთა და მდივანთა ხშირ შეცვლას. ასე მაგალითად, გასულ წელს შეიცვალა 85 აღმასკომის თავმჯდომარე, 73—თავმჯდომარის მოადგილე და 59—აღმასკომის მდივანი. მათ შორის, 10 აღმასკომში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს არადეპუტატი, სამში — თავმჯდომარის მოადგილისას, ხოლო 4 აღმასკომში — მდივნისას.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს მუდმივი კომისიების მუშაობაში. ბევრი მათგანი მთლიანად არ იყენებს იმ უფლებებს, რომლებიც მათ დებულებით აქვთ მინიჭებული, სუსტია საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი; ზოგიერთი საბჭოს მუდმივ კომისიას არც ერთი საკითხი არ მოუმზადებია სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის. მაგალითად, აბაშის, ახალქალაქის, ახალციხის, გეგეჭკორის, ვანის, თეთრი წყაროს, თელავის, ჩოხატაურის და ონის რაიონული საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თიანეთის რაიონული საბჭოს საგზაო მშენებლობის, დმანისის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები. ცალკეული საქალაქო და რაიონული საბჭოები სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე ნაკლებად იხილავენ საბჭოების ორგმასიური მუშაობის საკითხებს (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ცაგერის, დმანისის, გეგეჭკორის და სხვა რაიონები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სკკპ XXIII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების შემდგომ დადგენილებათა შესასრულებლად, რისთვისაც:

ა) საჭირო დახმარება გაუწიონ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში, დროულად მიაწოდონ მათ საცნობარო მასალა საბჭოების მუშაობის შესახებ, ზუსტად დაიცვან კონსტიტუციის მოთხოვნა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების შესახებ, პრაქტიკულად დაეხმარონ დეპუტატებს ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული განაწესებისა და წინადადებების შესრულებაში;

ბ) უახლოეს დროში, დებულების შესაბამისად, ჩაატარონ არჩევნები გასულ დეპუტატთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევისათვის, არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების არჩევით თანამდებობაზე ისეთ პირთა არჩევა, რომლებიც შესაბამისი საბჭოს დეპუტატები არ არიან;

გ) ზუსტად დაიცვან სესიების მოწვევის ვადები, გააუმჯობესონ სესიების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადების საქმე. საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები. უზრუნველყონ საკითხების მომზადება-განხილვაში დეპუტატების, მუდმივი კომისიების აქტიური მონაწილეობა. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატებმა სესიების გადაწყვეტილებათა შესახებ სისტემატური ინფორმაცია გაუკეთონ თავიანთ ამომრჩევლებს, მოაწყონ სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, ამასთან სესიებზე მოისმინონ წინა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიული პრინციპების დაცვას, შრომისადმი მუშების, კოლმეურნეების და მოსამსახურეთა შეგნებულ დამოკიდებულებას;

ე) საჭირო დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები, მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები სრულად იყენებდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, თბილისის, ტყიბულის და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უფრო მეტი დახმარება გაუწიონ ქვემდგომ საბჭოებს მუშაობაში, გააძლიერონ მათდამი ხელმძღვანელობა, უზრუნველყონ მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, პერიოდულად მოიწვიონ აღმასკომის თავმჯდომარეების და მდივნების თათბირ-სემინარები და მიაღწიონ ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოე-ბის მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბალათურია) მეთოდური დახმარება და კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 25 თებერვალი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 18 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამბედაობისა და თავგანწირვისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“**:

1. შოთა სიმონის ძე **ზალდასტანიშვილი** — უმცროსი ლეიტენანტი.
2. გიორგი იოსების ძე **მათიაშვილი** — მილიციის ლეიტენანტი.
3. იასონ ალექსის ძე **პაპკიაური** (სიკვდილშემდგომ) — მილიციონერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 25 თებერვალი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 19 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მილიციის სერჟანტი ივანე იოსების ძე **გიგაური** მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 25 თებერვალი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 20 ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:**

1. ანზორ გრიგოლის ძე **კავსაძეს** — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს.
2. ლამარა გრიგოლის ასულ **ჭყონიას** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:**

1. რევაზ ბაგრატის ძე **ხონელიძეს** — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:**

1. ანზორ დავითის ძე **ერქომაიშვილს** — ქ. რუსთავის ვოკალური ანსამბლის „რუსთავის" ხელმძღვანელს.
2. ზურაბ დავითის ძე **იაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის „ორერას" მსახიობს.
3. ირინე ლუარსაბის ასულ **იაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.
4. სოფიო გიორგის ასულ **იაშვილს** — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობს.
5. ლიანა ალექსანდრეს ასულ **ისაკაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.
6. ვახტანგ კონსტანტინეს ძე **კიკაბიძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის „ორერას" მსახიობს.
7. ვასილ ბონდოს ძე **კირთაძეს** — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტს.
8. ზურაბ ლავრენტის ძე **სოტკილავას** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.
9. ზურაბ ვალერიანის ძე **ხოფერიას** — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **კვაჭაძე**.

თბილისი, 1970 წლის 18 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**21** ამხ. ი. ზ. ბესტაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ამხ. იოსებ ზაქარიას ძე ბესტაევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**22** ამხ. გ. კ. ნატროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი მწერალი გიორგი კონსტანტინეს ძე ნატროშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**23** ამხ. ა. თ. ოთირბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ასლან თამშუგის ძე ოთირბა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**24** **ამხ. შ. ნ. ქემოკლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

საგზაო მშენებლობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 4 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს ამხ. შალვა ნიკოლოზის ძე **ქემოკლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**25** **ამხ. ი. ი. ბელქანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, წალენჯიხის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი ამხ. იაკობ ივანეს ძე **ბელქანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**26** **ამხ. გ. გ. ბერძენიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სატყეო მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. გიორგი გაბრიელის ძე **ბერძენიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 27 ამხ. ნ. ვ. ბორჩხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ენერგეტიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ლითონკონსტრუქციის ქარხნის დირექტორი ამხ. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე **ბორჩხაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 28 ამხ. ვ. ს. ლურსმანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში უმწიკვლო სამსახურისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის გმირი, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი ამხ. ვლადიმერ სამსონის ძე **ლურსმანაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 29 ამხ. ვ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ქ. თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ამხ. ვახტანგ კორნელის ძე **მაღრაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 30 ამხ. ა. დ. შევარდნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო-საზღვაო ფლოტში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, „დოსააფი“-ს საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საზღვაო მომზადების უფროსი, თადარიგის პირველი რანგის კაპიტანი ამირან დავითის ძე **შევარდნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 31 ამხ. ნ. ი. ხახუტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საპროექტო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ინსტიტუტ „საქსახპროექტის“ მთავარი ინჟინერი ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **ხახუტაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 თებერვალი.

განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლებით“** დააჯილდოვა 320 დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან . . . . . . . . 7

ქ. რუსთავიდან . . . . . . . . 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ასპინძის | რაიონიდან | 6 |
| ბოლნისის | „ | 57 |
| ბოგდანოვკის | „ | 30 |
| გარდაბნის | „ | 55 |
| ვანის | „ | 11 |
| თელავის | „ | 2 |
| თიანეთის | „ | 4 |
| ქარელის | „ | 12 |
| ცაგერის | „ | 7 |
| ცხაკაიას | „ | 9 |
| ჩოხატაურის | „ | 2 |
| წალენჯიხის | „ | 23 |
| წალკის | „ | 43 |
| წითელწყაროს | „ | 7 |
| წულუკიძის | „ | 3 |
| ხაშურის | „ | 20 |
| ხობის | „ | 10 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 7. |